С-91.
1934.

ოქტომბრელი

1 9 სახელგამი 3 4

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრელი

ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი, № 2

თებერვალი
1934
წელი

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროსა
და განათლების სახ. კომისარიატის ჟურნალი
მცირეწლოვან ბავშვთათვის.

შინაარსი

1. თებერვლის ზეიმი,—ლექსი იანისა 1
2. მეჩვიდმეტე,—თარგმანი რუსულიდან 2
3. ჯილდო მოგვცეს,—ლექსი—გ. კაჭახიძისა 6
4. ბელურებზე მონადირენი,—ლექსი ლ. ჭიჭინაძისა 7
5. ჯიმშერს ავნო გ. კალანდაძის 11
6. გაუფრთხილი,—ლექსი ალ. ბილანიშვილისა 15
7. მიტოს უნდა დიდი იყოს,—ე. ჩერნიშევა, თარგ. ელისა . . . 16
8. ქალალდის ნაამბობი,—ცქვიტისა 18
9. ელექტრომავალი,—დ. შამათავასი 20
10. მცონარა,—თარგ. შ. გაფრინდაშვილისა 23
11. მედიკოს მელა,—თ. ოყრეშიძისა 27
12. ოქტომბრელის სიმღერა,—ნოტებით თ. შავერზაშვილისა . .

გარ. მე-3 გვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თებერვლის ნოველა



1752

მზე არ არის,
სანაცვალოდ
დროშებია და შუქს მოფენს.
ზეიმობენ. გამარჯვების
დღესასწაულს ზეიმობენ.
ადრიანად მორთეს ქუჩა,
შეუცვალეს სახე ბინებს,
სახლზე დროშა,
გზებზე დროშა
გამოფინეს, გამოფინეს.
ქუჩის თოვლი ისე მკვრივად
დაიტკეპნა, დაიტკეპნა,
რომ იფიქრებ: ზაფხულშიაც
ვერ გაადნობს მზე და ზეცა.
ზედ უბანი დარაზმული
მიუძღვება კიდევ უბანს,
წესრიგისთვის ყველა რაზმი
გეგმიანად გადაუბამთ.
და მღერიან.
მეცამეტე
თებერვალი გაითენეს.
თოვლი ცვივა. თითქოს ზეცა
გვეხუმრება, ყრის ფარტენებს.
ჰა, მინებში, ქუჩის პირად,
თითქოს რაღაც ფარდებია:
გამარჯვების, მიღწევების
გეგმები და ქარტებია.
და რუკები მიღწევების
ცხოვრებაში ვინც დახატა,—
დღეს ზეიმში გამოსულა,
რომ გადიქცეს ჰანგის ხმათა,



ჰა, გახედეთ პატარებსაც,
როგორ მარჯვედ დარაზმულან,
აქაო და ვზეიმობთო,
ესენიც კი გამოსულან!
და მღერიან.
მეცამეტე
თებერვალი გაითენეს.
თოვლი ცვივა, თითქოს ზეცა
გვეხუმრება, ყრის ფარტენებს.

-იანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეჩვიდმეტე

ეს იყო მეფის დროს, ოცი წლის წინათ.

ლენინი მაშინ პეტერბურგში ცხოვრობდა,—ასე ერქვა მაშინ ლენინგრადს. ლენინი და მისი ამხანაგები ფარულად დადიოდენ მუშებთან და უხსნიდენ მათ, თუ რატომ ცხოვრობს მუშახალხი ცუდად და როგორ უნდა იბრძოლონ მათ მეფისა, მდიდრებისა და მემამულეთა წინააღმდეგ.

მაშინ მუშები ძალიან ცუდად ცხოვრობდენ. მუშაობდენ ბევრს—თორმეტს, თოთხმეტ საათს დღეღამეში, ხოლო ხელფასს ძალიან მცირეს იღებდენ. ასე ცხოვრობდენ ისინი მშიერნი და შიშველნი. სიღარიბის გამო მუშები ბავშვებსაც კი ამუშავებდენ ქარხნებსა და ფაბრიკებში, რომ მათგან შემოტანილი კაპეიკებით შეემსუბუქებიათ ცხოვრების მძიმე პირობები.

მხოლოდ ქარხნებისა და ფაბრიკების პატრონები და მემამულეები ცხოვრობდენ ფუფუნებაში.

მეფის პოლიცია და ჟანდარმები ციხეებში ყრიდენ ყველას, ვინც აუხსნიდა მუშებს, თუ რატომ ცხოვრობდენ ისინი ცუდად, ვინც აუხსნიდა, თუ როგორ უნდა იბრძოლონ მათ მეფის მთავრობის ჩამოსაგდებად და როგორ მოაწყონ გაფიცვები, რომლის დროსაც ფაბრიკა-ქარხნის მეპატრონეები ძალიან ბევრს კარგავენ, რადგანაც მუშები ერთად ტოვებდენ სამუშაოს.

დაუწყეს ლენინს დევნა. პოლიციამ დაადევნა გამცემლები, რომლებიც გაფაციცებით დაეძებდენ მას ყველგან, ფარულად ადევნებდენ თვალს, თუ სად დადის ლენინი და ვინ არიან მისი ამხანაგები. განსაკუთრებით უნდოდათ გამოერკვიათ—რომელ მუშებთან დადის ლენინი. როგორც ნადირობის დროს დაეძებენ ძაღლები ფრინველის კვალს, ისე დაეძებდენ ის გამცემლები ლენინის ყოველ ნაბიჯს, რომ ეცნობებიათ პოლიციისათვის. მაგრამ ლენინმა ყველაზე უკეთ იცოდა, როგორ გასძრომოდა ხელიდან გამცემლებს. მას შესანიშნავად შეეძლო თავი დაეფარა გამცემლებისაგან ათასნაირად მოფიქრებული ხერხებით. ის არქმევდა ამხანაგებს ათასნაირ მეტ სახელს, რომ პოლიციას ვერ გაეგო მათი ნამდვილი სახელი და გვარი. ის ასწავლიდა ამხანაგებს წერილების წერას საიდუმლო მელნით. თუ წერილს პოლიცია ჩაიგდებდა ხელში, შიგ ეწერა ამბები ოჯახურ საქმეზე, ამინდზე და სხვა. მაგრამ საკმარისი იყო ანთებულ სანთელზე შეთბობა წერილისა, და მაშინ სტრიქონთა შორის გამოჩნდებოდა სხვა სიტყვები—იმის შესახებ, თუ სად შეიძლება თავის შეყრა, სად ძევს ფურცლები გაფიცვების შესახებ, ან სად იმყოფება ფარული საბეჭდი მანქანა. მაგრამ ყველაფერი ეს ისე იყო დაწერილი, რომ მხოლოდ თავის ხალხს შეეძლო გაგება. წერილებში იწერებოდა: „ბიცოლას გოგო ეყოლა“. ეს ნიშნავდა: „ფარულ სტამბაში მოხერხდა წიგნის გამოშვება“.

წერილში ლენინს „მოხუცი“ ერქვა, სტალინს „კობა“, ნადეჟდა კრუპსკაიას „თევზი“, და ასე ყველა ფარულად მომუშავე ამხანაგს ჰქონდა თავისი ზედმეტი სახელი.

ასე ცხოვრობდენ მაშინ რევოლუციონერები მრავალ ქალაქში. მაშინ ისინი არ იყვნენ ბევრნი და თუმცა ძალიან იმალებოდენ, მაინც ხშირად ვარდებოდენ პოლიციის ხელში.

ლენინიც დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს. ციხიდან მან მაშინვე მოსწერა წერილი თავის ამხანაგებსა და ნაცნობებს. იგი სთხოვდა მათ გაეგზავნათ მისთვის სხვადასხვა საჭირო ნივთი—საბანი, პირსახოცი, თეთრეული და კიდევ წიგნები „თევზის“ შესახებ. ლენინის ამხანაგები მაშინვე მიხვდენ, რომ მას უნდა გაიგოს: დაჭერილია თუ არა ნადეჟდა კრუპსკაია? მას უპასუხეს, რომ წიგნი თევზის შესახებ არ არის, და ეს იმას ნიშნავდა, რომ კრუპსკაია დაჭერილია.

ლენინი იჯდა პატარა ოთახში, რომელიც გალიას ჰგავდა. ფანჯრიდან მხოლოდ ცა ჩანდა. მაგრამ აქაც, მტერთან ტყვეობაში, არ კარგავდა ლენინი მხნეობას და ჩქარა ახერხებდა ამხანაგებთან წერილობითი კავშირის გაბმას. ციხეში იგი ძალიან ბევრს კითხულობდა და წერდა დიდ წიგნს მუშახალხის შესახებ.

ციხეში იგი წერდა ფურცლებს მუშებისათვის; რომლებშიც აცნობებდა მუშებს, როგორ უნდა იბრძოლონ მათ მეფისა და ფაბრიკა-ქარხნების წინააღმდეგ. ამ ფურცლების გარეთ გადაცემა ძალიან ძნელი იყო. რომ ჟანდარმებს არ წაეკითხათ, იგი წერილებს რძით წერდა წიგნების სტრიქონთა შორის. რძე შრებოდა, და სტრიქონი შეუმჩნეველი რჩებოდა ჟანდარმებისათვის, ხოლო ლენინის დაახლოვებულ ამხანაგებს კარგად შეეძლოთ მისი ამოკითხვა, რადგან ისინი ამგვარად დაწერილ წიგნს ცხელ წყალში ჩაუშვებდენ, და მაშინ გამოჩნდებოდა რძის სტრიქონი, რასაც წერდა ლენინი.

ლენინს დევნიდენ ციხეში და უთვალთვალებდენ. იგი აკეთებდა პურიდან პატარა სამელნეებს რძისათვის. როგორც კი დააპირებდენ ჟანდარმები ლენინის საკანში შესვლას ან სარკმელში შეხედვას, სასწრაფოდ ჭამდა ამ რძის სამელნეებს. ერთხელ ლენინმა დაწერა წიგნში რძის სტრიქონი: „მე დღეს ექვსი სამელნე შევჭამე“.

ციხიდან ლენინი სწერდა გარეთ მყოფ თავის ამხანაგებს, თუ რის მიღწევაა საჭირო. ქვეყანას უნდა მართავდეს არა მეფე, მემამულე და ფაბრიკა-ქარხნის მეპატრონეები, არამედ თვით მუშები. უნდა მიღწეულ იქნეს ის, რომ მუშები ქარხანაში რვა საათზე მეტს არ მუშაობდენ დღეღამეში, ბავშვები კი სრულიად არა. ყოველი ბავშვი სკოლაში უნდა სწავლობდეს და მათგან ღარიბებს უფასოდ უნდა კვებავდენ და აცმევდენ სკოლაში. არ უნდა იყოს განსხვავება უკრაინელ, რუს, თათარ, ქართველ და სხვა ბავშთა შორის, მათზე ყველაზე ერთნაირად უნდა ზრუნავდენ.

მეფის დროს კი ძალიან ცუდად ცხოვრობდენ პატარა ერები, ისინი დაჩაგრული ჰყავდა რუსეთის მეფის მთავრობას. ცუდად ცხოვრობდენ ებრაელები, ქართველები, სომხები, თათრები და სხვ. ებრაელებს მრავალ ქალაქში ცხოვრებაც კი ჰქონდათ აკრძალული. ბავშვებს სწავლა რუსულ ენაზე უნდა მიეღოთ, რაც მათ არც ესმოდათ. თავის წერილებში ლენინი წერდა, რომ მუშები და გლეხები ერთად უნდა იყვნენ, დაეხმარონ ერთმანეთს. მუშები დაეხმარებიან გლეხებს

სილარიბისაგან თავის დაღწევაში და მემამულეებისაგან მიწების ჩამორთმევის საქმეში, ხოლო გლეხები დაეხმარებიან მუშებს, რომ ისინი გაუსწორდენ ფაბრიკა-ქარხნის მეპატრონეებს.

ლენინის ამხანაგები კი, რომლებიც გარეთ იმყოფებოდენ, ბეჭდავდენ ლენინის წერილებს ფარულ სტამბებში და ურიგებდენ მუშებს ფარულად.

წელიწადზე მეტ ხანს იჯდა ლენინი ციხეში და შემდეგ გადაასახლეს შორეულ ციმბირში. მისი ამხანაგები კი განაგრძობდენ ლენინის საქმეს.

როცა ლენინი გადასახლებაში იყო, მისმა ამხანაგებმა სხვადასხვა ქალაქიდან შეკრება გადაწყვიტეს, რომ ეთათბირათ იმის შესახებ, თუ როგორ ემუშავათ სხვადასხვა ქალაქში საერთო გეგმის მიხედვით და როგორ დაკავშირებოდენ ერთმანეთს.

ქალაქ მინსკში გარეუბნის ერთერთ პატარა შენობაში შეიკრიბა ლენინის პარტიის პირველი ყრილობა. მთელი რუსეთიდან მხოლოდ ცხრა კაცი შეიყარა. ლენინი არ იყო. იგი ციმბირში იყო გადასახლებული. ყრილობაზე რევოლუციონერები უყვებოდენ ერთმანეთს, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა მეფის და ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეების წინააღმდეგ. იმათ მოილაპარაკეს, როგორ იმუშაონ ერთად, ერთ პარტიად, და აირჩიეს პირველი ცენტრალური კომიტეტი. ფარულად შეიკრიბნენ ყრილობის დელეგატები და ფარულად დაიშალნენ.

2.

მას შემდეგ ოცდათხუთმეტ წელზე მეტი გავიდა. ძალიან ბევრი გადაიტანეს ამ ხანებში მუშებმა და მშრომელებმა, სანამ ჩამოაგდებდენ მეფეს და გარეკავდენ ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეებსა და მემამულეებს.

1917 წლის ოქტომბერში მუშებმა, გლეხებმა და ჯარისკაცებმა, ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, ამხანაგ ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით, იარაღით ხელში დაიპყრეს ხელისუფლება და შექმნეს საბჭოები. მის შემდეგ სრულიად გამოიცვალა ჩვენი ქვეყანა.

ძნელი იყო დასაწყისი. უნდა დაემარცხებიათ მეფის გენერლები, რომლებიც ყოველი მხრიდან უტევდენ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას. მათ მხარს უჭერდენ მრავალი ქვეყნის კაპიტალისტები: ინგლისის, იაპონიის, საფრანგეთის და სხვ. ომმა დაანგრია ქვეყანა, მაგრამ ჩვენმა წითელმა არმიამ გაიმარჯვა და გარეკა ჩვენი ქვეყნიდან მტრები.

სწრაფად აღადგინეს მუშებმა და გლეხებმა მეურნეობა. გამრავლდა ჩვენში ფაბრიკები და ქარხნები და ისინი დაუცხრომლად მუშაობენ ახალი ქვეყნისათვის. სოფლებში გლეხები გაერთიანდენ კოლექტივებში. შეწყდა მუშებისა და და გლეხების სიღატაკე, შეიჭრა მათში განათლება. ლენინმა ბევრი იმუშავა და იბრძოლა ამ საქმისათვის, ბევრს ფიქრობდა და ღღედაღამ არ ეძინა.

ამ მძიმე შრომაში დაიღალა ლენინი, დასნეულდა, დაკარგა ჯანმრთელობა და ათი წლის წინ გარდაიცვალა. ლენინის პარტიის მეთერთმეტე ყრილობამ მოუსწრო ლენინს.

ათი წელი გავიდა მას შემდეგ. მოკვდა ლენინი, მაგრამ დარჩა მისი ძეგლ-ვამოსილი პარტია—ბოლშევიკური პარტია, რომელსაც ხელმძღვანელობს ლენინის საყვარელი მოწაფე, ამხანაგი და თანაშემწე—ამხ. სტალინი.

ამ ათი წლის განმავლობაში ულენინოდ ჩატარდა მისი პარტიის ხუთი ყრილობა.

3.

წელს იანვარში შეიკრიბა პარტიის მეჩვიდმეტე ყრილობა. ჩვენი ქვეყნის ყოველი მხრიდან მოვიდენ ბოლშევიკები ამ ყრილობაზე.

თოვლიანი ჩრდილოეთიდან ირმებით წამოვიდენ ჩრდილოელი კომუნისტები. მთის ბილიკებიდან დაეშვენ კავკასიელნი. სწრაფი მატარებლები გაეშურნენ ყოველი მხრიდან მოსკოვისაკენ, აეროპლანით გაფრინდენ ბაქოელები.

დონბასის მემაღაროელნი, უკრაინის კოლმეურნენი, თაჯიკისტანის ბამბის ველების გმირები, თეთრი ზღვის მეთევზეები, ყირიმის მევენახეები, ურალის მთამადნის მებრძოლნი, მაგნიტოგორსკის მელითონეები, დნეპრის ელექტროსადგურების გმირები—მოვიდენ კომუნისტები პარტიის მეჩვიდმეტე ყრილობაზე, მოვიდენ კიდევ საბჭოთა დიდი ქვეყნის ყველა მხრიდან. იმათ უამბეს ყრილობას—რამდენ პურს, ბამბას, თევზს, ქსოვილს, ლითონს, ნახშირს, ელექტროენერგიას, მადანს, რკინას იღებს და ამზადებს ჩვენი ქვეყანა, რამდენია ახალი ფაბრიკები და ქარხნები, მთელი ქვეყნიერების ფაბრიკა-ქარხნებზე დიდები,—რომლებიც განუწყვეტლად მუშაობენ და ქმნიან მშრომელი მასების სიმდიდრესა და კეთილდღეობას. იმათ უამბეს ყრილობას—როგორ იღებენ კოლმეურნეები უდიდეს მოსავალს და ხდებიან შეძლებულები, როგორ აღმოაჩინეს ახალი მადნები, როგორ იზრდება კულტურულად ჩვენი ქვეყანა, უამბეს ყრილობას, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა ბავშვი სწავლობს სკოლაში.

ჩვენი პარტიისა და მთელი ქვეყნის მუშათა ბელადმა და მასწავლებელმა ამხ. სტალინმა გადაუშალა ყრილობას სურათი უდიდესი მიღწევებისა, რომლებიც ჩვენს ქვეყანას გააჩნია, და დასახა ახალი ამოცანები შემდგომი მუშაობისათვის. ყრილობის დელეგატები ტაშითა და „ვაშას“ ძახილით ხვდებოდენ საყვარელი ბელადის ყოველ გამოჩენასა და სიტყვას.

ათასეულმა ბოლშევიკებმა მეჩვიდმეტე ყრილობაზე უამბეს მთელ ქვეყანას, თუ როგორ მიაღწიეს მათ ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით მას, რასაც ფიქრობდა ლენინი ოდესღაც ციხეში, რაზედაც წერდა იგი მთელი სიცოცხლის განმავლობაში და რაზედაც არ შეიძლებოდა ეფიქრა ვისმე მინსკის იმ პატარა შენობაში, რომელშიაც შეიკრიბა ჩვენი პარტიის პირველი ყრილობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯილდო შვებულ

ვინც შრომაში ბეჯითია,
არ ცულლუტობს,
დროს არ კარგავს,—
მას ყოველგან პატივს სცემენ,
ღებულობენ ხალხში კარგად.
ლაზლანდარას ყველა კიცხავს,
ყველა არცხვენს გეგმის ჩა-
მშლელს,
ჩვენ კი სკოლამ
დღეს კრებაზე
ჯილდო მოგვცა დამკვრელ ბავ-
შვებს.

ცოტა იყო,
მაგრამ მაინც
გამეხარდა, ვიგრძენ შვება.
სურათებიც გადაგვიღეს
გაზეთებში გასაშვებად.
არ ველოდით,
სწორედ ისე
დაგვიფასეს ფიქრი, გარჯა...
ჩვენი ხვედრით ზოგიერთი
სინანულს და წყენას დარჩა.
ის დაღონდა,
ვინც მერხებზე



ათამაშებს წიგნს თუ ხელებს,
ვინც ცულლუტობს განუწყვეტლივ,
ნიჭი აქვს და არ იყენებს.
დე, იდარდოს!
ზარმაცობის
გუბეები უნდა დაშრეს.
ყველამ უნდა დაინახოს—
პატივს სცემენ დამკვრელ ბავ-
შვებს.

მაშინ იგი,
ვინც ცულლუტობს,
მიეცემა ფიქრებს დიდხანს...
მოინდომებს
და ჩვენსავით
წიგნს გულდაგულ წაიკითხავს.
წინ წაიწევს,
არ იქნება
ხალხის მიერ გასაკიცხი.
დავიუფლებთ ცოდნას ერთად
ყველა კარგი,
ყველა მკვირცხლი.
თავს და სკოლას ვასახელებთ,
გავიხარებთ,
ვიგრძნობთ შვებას,
სურათებსაც გადავიღებთ
გაზეთებში გასაშვებად.

გიორგი კაპანაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელურებზე ოინდოლები

ა.

სოფელში ჩიტები ადამიანს არ ეკარებიან.

ისინი უსაზღვრო ცის სივრცეში შორიშორს დაფრენენ. ქალაქში კი ჩიტები თითქოს მოშინაურებულია. მიდიხარ, და ისინი თვალწინ სხდებიან... გგონია, ესეც არის ხელს წაატან და ხელში ჩაიგდებ, მაგრამ ისინი უცებ აფრთხიალდებიან...

გგონია, თითქოს შორს გადაფრინდებიან, მაგრამ იქვე ათიოდე ნაბიჯის მოშორებით დასხდებიან.

მათ არ ეშინიათ, ალბათ იმიტომ, რომ ქალაქელები არ სდევნიან. სოფლად კი პატარები არ ასვენებენ, და ისინიც ამიტომ დასრიალებენ თვალუწვდენელ სივრცეში.

მოვა თუ არა ზამთარი, გაეკვრება თუ არა ცას ღრუბელი და გაცივებული ზეციდან თოვლი წამოვა, ჩიტებიც თითქოს მაშინვე მოშინაურდებიან. ისინი სახლებს, ნალიებსა და მარნებს მიაშურებენ. ამ დროს ბავშვები სიხარულით ივსებიან. ისინი დადგებიან ახლოს და უცქერენ ზამთრისაგან მოშინაურებულ ფრინველებს.

— შვილდ-კოდალი გავაკეთოთ,—უთხრა ვასომ თავის პატარა ძმას.

— არ ვიცი კოდალის გათლა და რა ვქნა,—უპასუხა პატარამ.

ისინი მაშინვე დაფაცურდენ.

ვასომ აიღო დანა, მონახა ყავარი და სანადირო იარაღის დამზადებას შეუდგა. მან ორი კოდალი უნდა დაამზადოს და ამიტომ გამალებით მუშაობს. მისი ძმა იქვეა ჩაცუცქული და თვალს არ აშორებს ვასოს საქმიანობას.

ვასო დაკვირვებით თლის კოდალს. მან იცის, თუ კოდალი სწორი არ არის, მიზანში ვერ მივა.

— ნუ გეშინია, ალე, კარგ კოდალს გაგითლი.

ალეს გაეხარდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ისინი მძიმედ შეიარაღდებიან და ჩიტებს სულ დააფრთხობენ.

— ვასო, შინ შემოდი, ნუ მოკალი ეგ ბავშვი სიცივით! — დაიძახა მამამ, რომელიც ბუხარში აგუზგუზებულ ცეცხლს შორიდან ეფიცხებოდა. ის ამბობ-ნებდა გასულ წელს დაქანცულ კუნთებს და უკვე კარზე მომდგარი გაზაფხულის შესახებ ფიქრობდა, რომ კოლექტივს ადრე დაეწყო თესვა.

— მამა, შვილდ-კოდალს ვაკეთებ... მე და ალემ ჩვენი ნალიის ქვეშ რომ ჩიტებია, ისინი უნდა მოვკლათ. დღევანდელი სადილი ჩვენ კისერზე იყოს, — უპასუხა ვასომ გარედან.

მამას გაეცინა.

— აბა, თქვენ იცით, ქონი ჭერში შეინახეთ.

მამის სიტყვა არ იყო იმედიანი, მაგრამ ვასო და ალე იმედს მაინც არ კარგავდენ.

ისინი სულ ჩქარა კარგი მონადირეებივით ჩასაფრდებიან ჩიტების საყვარელ ადგილას, სადაც უამრავი ბეღურა სხდება, სადაც ჩიტები მზეს ეფიცხებიან...

ბ.

დადგა თუ არა თებერვალი, ზამთრის სუსხიც შენელდა, ღამღამობით აღარ არის მძაფრი ყინვები და თოვლი ყოველდღე თვალდათვალ დნება.

გზებზე ღელეები ადიდდა, ადიდება იწყო მდინარეებმაც.

თებერვლის მზე საამურად ანათებს და თოვლის ბრწყინვალე ზედაპირზე თითქოს პირს იბანს.

ბურულებიდან ჩიტები გადმოფრინდენ. ისინი ხეებსა და ღობეებზე შემოსკუპდენ. თოვლის თეთრი საბანი თანდათან გათხელდა. სულ პირველად მიწა ხეების ძირში გამოჩნდა.

როგორც შინაურ, ისე გარეულ სულდგმულს ამ ახლადგამოჩენილ მიწაზე სურდა მოთავსება. ერთი ხის ქვეშ ქათმები მოგროვდენ, ფრთები გაისწორეს და მიწის ქექვა დაიწყეს, მეორე და მესამე ხის ქვეშ საქონელი შეჯგუფდა. როცა ზურგი გაითბეს, ხეებზე დაიწყეს ნაზამთრი კისრების ფხანა. მეოთხე ხის ქვეშ ჩიტები მოგროვილიყვნენ. ახლადგამოჩენილ მიწაზე იმდენი ჩიტი იყო, რომ მიწა აღარც კი ჩანდა.

ბეღურებსაც უხაროდათ მიწის გამოჩენა და გაზაფხულის მოახლოვება. ისინი სიხარულით დაცოცავდენ აქეთ-იქით.

ალეს კატა, რომელსაც ზამთარმა ვერაფერი დააკლო და მაინც მსუქანი იყო, მხოლოდ ცეცხლთან ხშირად ყოფნით გვერდები ჰქონდა შერუჯული, ფეხაკრეფით მიიპარა ხის ძირში და შორიახლოს ჩაუცუცქდა უთვალავ ბეღურას. ბეღურებს გაუკვირდათ კატის უეცრად გამოჩენა. ბოლოს თითქმის აღარც არაფრად ჩაადეს და თავისუფლად უნისკარტებდენ ხან ერთმანეთს, ხან კიდევ მიწაზე თუ რაიმე მწერი გამოჩნდებოდა.

გრძელკუდა ჩასუქებულმა კატამ დიდხანს უთვალთვალა მათ, ბოლოს იქვე მშრალ ნოშოზე გაწვა და ხანდახან გააქნევდა კუდს, თითქოს გული მოსდიოდა, რომ ჩიტებს ვერაფერი დააკლო.

ვასო და ალე დიდხანს უცქერდენ კატის ოინებს.

ალეს კატის მდგომარეობა შეეხარბა, რომ იმდენ ჩიტში არხეინად იყო ჩაწოლილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვაი, ერთი, კატა ვიყო, რამდენ ჩიტს დავიჭერდი!

თქვა ალემ და შვილდ-კოდალს მაგრად ჩასჭიდა ხელი.

ვასო დარწმუნებულია, რომ კატასავით ბელურებთან ახლოს მისვლა შეუძლებელია. ის დიდხანს ფიქრობდა ფრინველთა გუნდს მიახლოვებოდა და თავისი იარაღით ენადირა.

მამამ ზამთრისაგან შეწუხებულ პირუტყვებს მიჰხედა, მერე იქვე ხის ქვეშ დადგა და თვითონაც ზურგი მიუშვირა თბილ მზეს. კარგახანს იყო იგი ასე გაჩერებული და ახლადგამოღვიძებული ბუნების ცქერით ტკბებოდა.

თებერვლის მოსვლამ სიხარული მოიტანა.

მამამ ტკბილ ხმაზე ჩაიმღერა:

თებერვალი დადგაო,
ხეში წყალი ჩადგაო,
ჩიტმა ჩიორამაო
საძირკველი დადგაო.

ბავშვებს მოეწონათ ამ ლექსის სიტყვები და მაშინვე კითხვით მიმართეს მამას.

— მამა, ვინ გამოიგონა ეგ ლექსი?—შეეკითხა ვასო.

— არ ვიცი, შვილო, ალბათ, ჩემისთანა კაცმა.

ვასო იმეორებდა იმ ლექსის სიტყვებს.

უკან არც ალე რჩებოდა და რამდენიმე წუთის შემდეგ ორივემ ზეპირად იცოდა.

8.

კატა ისევ წევს, ჩიტები ისევ ერთმანეთს უნისკარტებენ...

ვასო და ალე ქურდულად გამოჰყვენ ლობის ძირებს. მათ თავიანთი სანადირო იარაღი მზად ჰქონდათ და სულ ჩქარა თავს უნდა დასხმოდენ ფრინველთა გროვას.

წინ ვასო მიაბიჯებს.

ის მიაბიჯებს ძალიან წყნარად, რომ არაფერი გაშრიალდეს, უკან პატარა ალე მიჰყვება. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგეს, ვასომ წყნარად გადაულაპარაკა ალეს:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ხელი არ შემიშალო, ჯერ მე ვესვრი, მერე შენ.

— თუ გაფრინდენ, მე რაღას მოვკლავ?—უკმაყოფილოდ მიმართა ალემ.

— შენ მე გამიგონე, ჩიტები არ ამიფრინო.

ისინი ისევ ფეხაკრეფით გაეშურნენ იქით, სადაც ჩიტები ისხდენ.

ვასოს მამა და დედა მოაჯირიდან უცქერდენ მონადირე შვილებს და სახეს ღიმილი უფარავდათ.

— ო, რა მონადირე ბიჭები გვეზრდებიან, ბუზს არ გაუშვებენ მოუკლავს! სიცილით უთხრა დედამ მამას.

ბავშვებს არ ესმოდათ მშობლების საუბარი.

ისინი ფეხაკრეფით მიდიოდენ.

ბელურებს მიუახლოვდენ.

— ახლა უკვე შეიძლება სროლა,—გაიფიქრა გულში ვასომ, ალე კი უფროს ძმას შესცქერის ხელებში და როცა ის გაისვრის, ალემ მერე უნდა მოზიდოს თავისი შვილდი.

ვასო არ კმაყოფილდება, კიდევ უფრო ახლოს უნდა მისვლა. მართლაც გადადგა რამდენიმე ნაბიჯი. ცოტა-ღა უკლია, რომ ვასო და ალეც კატასავით შეძვრენ ბელურების გუნდში. ამის იქით წასვლა აღარ შეიძლება.

მან სულამოუღებლად მოსწია შვილდს და ბელურების გუნდს შუაში უსწორა.

ვასოს კოდალი მოხდენილად წავიდა.

კოდალი ჯგუფში ჩაერჭო.

ბელურები დაფრთხენ.

— ფრრ...

გაისმა ბელურების ფრთების ფართხალი და იქვე მახლობლად შემოსხდენ ღობეზე.

ბელურები რომ აფრთხიალდენ, იმედდაკარგული კატა მხოლოდ მაშინ წამოხტა და უკანასკნელად უნდოდა პირის წატანება...

ვერ გაჭრა კატის ოინმა...

ვასომ კი მართლა მოკლა ერთი ბელურა.

მას გაფრენა აღარ შეეძლო და ნისკარტს საცოდავად აღებდა.

— ჰაუ, მოვკალი, მოვკალი!

ყვიროდა ვასო.

ყვიროდა ალეც.

მათ დიდხანს ატრიალეს ხელში საცოდავი ბელურა. ბავშვებს ჯერ უხაროდათ, მერე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი, როცა გული იჯერეს, შეიბრალეს, მხოლოდ მაშინ მიხვდენ, რომ ცოდვა ასეთი კეთილი ჩიტის მოკვლა.

— უი, ლა კალგია, — მოალერსებით ამბობდა ალე.

— იცი, ალე, არ უნდა მოგვეკლა...

— ლატომ? — ალე ენას განგებ იქცევდა.

— ჩემს წიგნში წერია, ბელურები მავნე მწერებს ჭამენო. ისინი, თურმე, ჩვენი ბოსტნის ერთგული მცველები არიან.

ვასომ და ალემ გადაწყვიტეს, ამის შემდეგ ბელურები აღარ მოეკლათ...

ბელურა კეთილი ფრინველია...

ბელურა ბოსტნის მცველია...

ლავრ. ჭიჭინაძე.

— ჯიმშიკო, დედა გენაცვალოს, ჭკვიანად იარე, თავს არაფერი მოწიო; სწავლა რომ გათავდეს, მაშინვე შინ წამოდი, ქუჩაში ნუ დაიწყებ ხეტიალს.

უთხრა ტასომ თავის თერთმეტი წლის ბიჭუნას, პალტოს ღილები შეუბნია, თავზე საზამთრო ბეწვის ქუდი დაახურა, გადაკოცნა და სკოლისაკენ გაისტუმრა. ჯიმშერმა ბუჭუკოს გაუარა, რომელიც იმავე ქუჩაზე ცხოვრობდა, და პატარა მეგობრებმა მკვირცხლად გასწიეს სკოლისაკენ.

სუსხიანი დილა იყო. ძლიერი ყინვა, რომელიც ზამთრობით ტფილისის აუცილებელი სტუმარია, ცხვირ-პირს უწვავდა ქუჩებში მოფუსფუსე ხალხს. ჯიმშერმა და ბუჭუკომ ნაძალადევის ხიდი გადირბინეს, თანაც გზაში გაკვეთილს იმეორებდენ.

— არიქა, ტრამვაი! — წამოიძახა უცებ ჯიმშერმა და ორივენი გაქანებულ ტრამვაის ვაგონს გამოუდგენ. ბუჭუკო მალე დაიღალა და ჩამორჩა, ჯიმშერს კი მისთვის ყურადღება არ მიუქცევია. როგორც იყო, ტრამვაის დაეწია, უკან საბელურს სწვდა, შეახტა, მაგრამ უმალვე უკან გადაქანდა, წიგნები ხელიდან გაუცვივდა და მალე თვითონაც ქვაფენილზე გაიშხვართა. დამსწრე ხალხი წივილ-კივილით გარს შემოეხვია და გულშეწუხებული ჯიმშერი ხელში აიყვანეს.

— ვაი მაგის დედის ბრალი, მაგის შიშლან ... რასოდეს ვერ უნდა გამოვიდეს! — იძახდა ერთი ჩასუქებული დედაკაცი და ცხვირსახოცით გასისხლიანებულ ტუჩს უწმენდდა.

— არავინ იცნობს ამ ბავშვს? — იკითხა მორიგ მილიციელმა.

— მე ვიცნობ, ჩემი ამხანაგია, — გაისმა ბუჭუკოს ხმა, რომელსაც ის-ის იყო დაფანტული წიგნები და რვეულები აეკრიფა და შეშინებული ელოდა, თუ სად წაიყვანდენ მის პაწია მეგობარს.

მოსულიერებული ჯიმშერი ათი წუთის შემდეგ სასწრაფო დახმარებით საავადმყოფოში მიიყვანეს.

2.

სკოლაში ზარი დარეკეს. მასწავლებელი შემოვიდა, მოწაფეებს თვალი გადაავლო და განცვიფრებით იკითხა:

— ბუჭუკო და ჯიმშერი არ მოსულან?!

— არა, მასწავლებელო, — უპასუხეს ერთხმად მოწაფეებმა.

— საკვირველია, ჯერ არცერთი დღე უმიზეზოდ არ გაუცდენიათ და არც დაუგვიანიათ.

ცოტა ხნით ყველანი დაფიქრდენ და შემდეგ კი გაკვეთილს შეუდგენ.

— ბავშვებო, წასულ გაკვეთილზე ჩვენ ლაპარაკი გვქონდა საქართველოს ჩრდილოეთით მოსაზღვრე კავკასიონის ქედზე და მის მწვერვალებზე. აბა, ოთარ, შენ მიპასუხე, რომელია მათ შორის ყველაზე მაღალი და რას უდრის მისი სიმაღლე ზღვის დონიდან?

ოთარი აიბუზა.

— ფასის მთა, მასწავლებელო!

— არ არის სწორი. დაჯექი, ოთარ, და ყური დაუგდე. ციალა გვეტყვის.

მკვირცხლი გოგონა სწრაფად წამოიჭრა და სხაპასხუპით მიუგო:

— ფასის მთიდან, მასწავლებელო, მდინარე რიონი გამოდის; კავკასიის მთების მწვერვალებიდან კი ყველაზე მაღალი იალბუზია, მისი სიმაღლე ზღვის დონიდან ოთხნახევარ კილომეტრს უდრის. იალბუზზე პირველად ქართველი ალპინისტები ავიდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაჯექი, საკმარისია. ყოჩაღ, ციალა!

შეაწყვეტინა მასწავლებელმა.

— ბავშვებო, დღეს ჩვენ ლაპარაკი გვექნება იმ მადნეულებზე, რომელიც საქართველოს მთების გულშია მოქცეული და რომლის ამოსაღებად იბრძვის საქართველოს პროლეტარიატი. მადნეულობის საბადოებიდან ყველაზე უფრო შესანიშნავია ჭიათურა, რომელიც სადგურ შორაპნიდან 48 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს.

— ჭიათურა?! მასწავლებელო, მე იქ ვყოფილვარ!—წამოიძახა ოთარმა, —გასულ ზაფხულს სოფელ პერევისაში ვიყავი დეიდაჩემთან და იმან წამიყვანა. ჭიათურა პერევისის მთის ძირშია.

— მით უკეთესი, ოთარ, თუ ყოფილხარ, მომავალ წელს ჩვენ ვეცდებით იქ ექსკურსია მოვაწყოთ...

მასწავლებელი საუბრის გაგრძელებას აპირებდა, მაგრამ კარი გაიღო და გაოფლიანებული ბუჭუკო შემოვიდა.

— შეიძლება, მასწავლებელო?—მოწყენით ჰკითხა და სუფთა ცხვირსახოცით თვალები მოიწმინდა.

— მოდი, რაშია საქმე, ბუჭუკო, რა გატირებს, ან რატომ დაიგვიანე? ჯიმშერიც რატომ შენთან ერთად არ მოვიდა?

ბუჭუკომ მათ ყველაფერი უამბო, თან დაუმატა: ექიმს უთქვამს: ძლიერ დამტვრეულია და შეიძლება ვერც გადაიტანოსო.

ყველა დააღონა ამ ამბავმა.

მასწავლებელმა მთელი მეორე გაკვეთილი წესრიგზე ლაპარაკს მოანდომა, გაკვეთილის შემდეგ კი მთელი ჯგუფი ჯიმშერის სანახავად წაიყვანა.

3.

ტასომ, როგორც კი გაიგო შვილის დამტვრევის ამბავი, ერთი შეკივლა და გაფითრებული ჩაიკეცა ტახტზე, მაგრამ მალე ღონე მოიკრიბა, საჩქაროდ წამოდგა, პალტო ჩაიცვა, თავშალი მოიხვია და საავადმყოფოსაკენ გაექანა. საავადმყოფოდან ტელეფონით გამოუძახა თავის ქმარს, რომელიც ტრამვაის სახელოსნოში მუშაობდა ელექტრომექანიკოსად, და 15 წუთის შემდეგ ისიც მოვარდა გულამოჯდარი.

ექიმები თავს დასტრიალებდენ ჯიმშერს.

— ბავშვი ძლიერაა დამტვრეული. მარცხენა ფეხი მოტეხილი აქვს, მაგრამ ვეცდებით გადავარჩინოთ,—ამბობდა ხანში შესული ექიმი და თან ჯიმშერის მშობლებს აიმედებდა.

3 საათზე მასწავლებელი და მოწაფეებიც მოვიდენ.

— ჯიმშერ, აბა გამოიხედე, შე ეშმაკო, შენა, განა არ იცოდი, რომ გაქანებულ ტრამვაიზე შეხტომა საშიშია და არ შეიძლება?! განა ერთხელ და ორჯერ დამირიგებიხართ, რომ ქუჩაში ყოველთვის წესიერად უნდა დადიოდეთ? ეუბნებოდა მასწავლებელი, მაგრამ ჯიმშერს არაფერი ესმოდა, სიცხე ჰქონდა და რაღაცას ბოდავდა: „ჰე, კონდუქტორ! ტრამვაი! ბუჭუკო, გააჩერე!“ ამხა-

ნაგები კი გარს შემოჰხვეოდენ და ვერაფრის თქმას ბერარ ახერხებდენ. მასწავლებელმა ტასო დააიმედა და თან ურჩია ღამითაც არ მოჰშორებოდა, შემდეგ ბავშვები წაიყვანა და წავიდა.

4.

ჯიმშერმა 3 კვირის შემდეგ მოიხედა. საჰმელის ჭამაც დაიწყო. მალე სკოლაში წასვლაც მოინდომა, მაგრამ... მოტეხილი ფეხი თაბაშირით ჰქონდა შეკრული.

გული ამოუჯდა და ტირილი დაიწყო.

— რა, ჭირიმე?—ჰკითხა დედამ.

— ამხანაგებთან მინდა, სკოლაში!

— მალე, სულ მალე წახვალ, ჩემო ბიჭიკო,—უთხრა ტასომ სიხარულით და ლოყაზე აკოცა.

ამხანაგები ყოველდღე მოდიოდენ ჯიმშერის სანახავად, თან რიგრიგობით მოქონდათ ტკბილ-ტკბილი საჩუქარი. მასწავლებელი კი სულ სამჯერ მოვიდა. უკანასკნელად ძლიერ მოიბოდიშა ტასოს წინაშე:

— ათასი საქმით ვარ დატვირთული და მოცალება არა მაქვსო.

5.

ჯიმშერი თვენახევრის ავადმყოფობის შემდეგ ადგა ზეზე. სკოლაში რომ მივიდა, ამხანაგები აღფრთოვანებით გარს შემოეხვივნენ და გავლილ გაკვეთილებზე დაუწყეს საუბარი, თან ანუგეშებდენ: „ნუ წუხარ, ვეცდებით დაგეხმაროთ და ამავე ჯგუფში არ დაგტოვოთ“. ჯიმშერიც გულმოდგინედ მეცადინეობდა. ასე გასინჯეთ, დასვენებების დღესაც კი არ იცილებდა წიგნს.

— ჯიმშერ, შენ ორ საგანში გაქვს სუსტი, და მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ჩამორჩენას ზაფხულში გამოასწორებ. კიდევ კარგი, რომ ბეჯითი ბიჭი ხარ, თორემ ზოგიერთი რომ შენს ადგილას ყოფილიყო, მთელი წელიწადი გაუცდებოდა.

ჯიმშერმა უკმაყოფილოდ დააქნია თავი.

შემდეგ მასწავლებელმა ბავშვებს საზაფხულო დავალება მისცა, სამი თვით დაემშვიდობა და შინისაკენ გაუშვა.

ზ. ქალნდაძე

საზოგადო საკუთრება



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გუშინ იყო თუ გუშინწინ,
მოვიწვიეთ რაზმის კრება,
დავადგინეთ, რომ დავიცვათ
საზოგადო საკუთრება.
შენ კი ისევ ძველებურად
ჯლაბნი, თხუნაჯ სკოლის ნივ-
თებს.

აიხედე, წაიკითხე,
ეს ლოზუნგი რას გვითითებს:
„თუ გინდა, რომ მშენებლობის
ტემპი ქუხდეს, იყოს დიდი,—
საზოგადო საკუთრება
დაიცავი, გაუფრთხილდი!“
ალბათ იცი, ზოგს ამჟამად
მავნებლური აზრი კვებავს
და განზრახვით ანიავებს
საზოგადო საკუთრებას.
და შენ კი მთლად შეუგნებლად
ამ მავნებლებს უწვდი ხელებს,
დაგავიწყდა, კომკავშირი
რას გვავალებს ლენინელებს.

ბრალდებისგან ვინ დაგიცავს,
დაგაყრიან ერთხმად სიცილს,
სად გინდა, რომ დაემალო,
ამხანაგო, ასეთ სირცხვილს?!
შენ სხვას უნდა არიგებდე
(კაცი ხარ და ქუდი გხურავს),
არც ისეთი პატარა ხარ,
ვერ მიმიხვდე ამ სამდურავს!
თუ გაიგე, რაც გითხარი,
თუ გაიგე და თუ მიხვდი,
საზოგადო საკუთრებას
შემდეგ მაინც გაუფრთხილდი!
ბრალდებული ჩუმად იდგა
ამრეზილი, სახემკრთალი,
შერცხვა, შერცხვა, ძლიერ შერ-
ცხვა,
დამნაშავედ იგრძნო თავი!

ალ. ბილანიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიტოს უნდა დიდი იყოს.

მიტო სამი წლისაა, მაგრამ ის დაუდეგარი და სწრაფია. მთელი დღის განმავლობაში მიტოს მხოლოდ ეს ესმის:

— მიტო, ხელს ნუ ახლებ. მიტო, არ აიღო. მიტო, დადე .. მიტოს კი ძლიერ უნდა რამე აკეთოს.

აი მის დას ნუცას ყველაფრის ნება აქვს: ის დიდია.

მიტომ ერთხელ ცული აიღო, უნდოდა სკამისათვის ფეხები მოეჩეხა და სკამი დაედაბლებია. უცებ დედამ შეჰყვირა:

— არ გაბედო!

ნუცა ზის და რაღაცას წერს. აი ის ადგა და სამზარეულოში გავიდა, უნდოდა გაეგო, დუღს თუ არა ჩაიდანი. დაინახა თუ არა ნუცა გავიდა, მიტო სწრაფად აძვრა მის სკამზე, აიღო კალამი, დაასველა მელანში და დაიწყო წერა. მაგრამ მალე ნუცა მოვიდა.

— რას შვრები? გამიფუჭე რვეული: დამიჩხაპნე და მელანიც გადამისხი...

ნუცამ მამასთან იჩივლა. მამამ მიტო დასაჯა. და მერე რაზე! მიტოს უნდოდა მიხმარებოდა ნუცას. მხოლოდ უცაბედად სამელნეს ხელი წამოჰკრა და რვეული გასვარა, მაგრამ სამაგიეროდ რამდენი დაწერა!

მიტო ტირის და ამბობს:

— მე წერა მინდა.

მამა კი უპასუხებს:

— შენ ჯერ პატარა ხარ.

და ასე ყოველთვის.

მამა ქარხანაში მიდის, მიტოსაც უნდა წასვლა.

— შენ საით?

— ქარხანაში, სამუშაოდ,—უპასუხებს მიტო.

მამა იცინის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



— დაჯექი სახლში, შენ ჯერ პატარა ხარ.

ჩაფიქრდა მიტო: „რა კარგი იქნებოდა, რომ დიდი ვიყო: მაშინ ყველაფრის ნება მექნებოდა. ნეტავ მალე გავიზარდო“.

ერთხელ სახლში არავინ არ იყო, ნუცას და მიტოს გარდა. ნუცა ყვავილებს რწყავდა.

— ნუცა, რატომ ასხამ წყალს ყვავილებს?

— იმიტომ, რომ ყვავილი გაიზარდოს.

მიტო წუთით ჩაფიქრდა. მერე სწრაფად გაიქცა სამზარეულოსაკენ. მიიდგა სკამი და აძვრა ონკანზე, მოუშვა წყალი და ზის; თან ტრიალებს ყოველი მხრით.

მალე მთლად დასველდა და დაიწყო კანკალი სიცივისაგან. ონკანიდან ამოსვლა კი არ შეუძლია. დაიწყო ყვირილი. შემოვარდა სამზარეულოში ნუცა, დედაც დაბრუნდა ბაზრიდან.

— რა ამბავია ეს, მიტო!—ამბობს გაკვირვებული და აღელვებული დედა.

იფიქრეთ, ბავშვებო, რა მოუხერხოს დედამ მიტოს, და როგორ მოიქცეს პატარა მიტო, რომ ის დიდი გაიზარდოს?

ე. ჩერნიშევა. თარგ. ელ-ის

საქართველოს სსრ
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილიკოს საწოლი კედელთან სულ ახლო ედგა. მას მარჯვენა მხარეზე უყვარდა წოლა. დაწვებოდა თუ ადგებოდა, სულ ერთისა და იმავე კედლისათვის უნდა ეცქირა.

კედლებზე ლამაზ ყვავილებიანი შპალიერი იყო გაკრული. ილიკოს ძლიერ უყვარდა ამ ყვავილების ცქერა. ეს ფერადი ყვავილები თავის სოფელს აგონებდა. ზოგჯერ კი, როცა ილიკო შპალიერს უფრო დააშტერდებოდა, ყვავილსა და ყვავილს შორის ელანდებოდა სახეები ადამიანისა, ცხვრისა და ძაღლისა, აცქერდებოდა ამ ყვავილებს და ფიქრებით გატაცებულს უმალ ტკბილი ძილი ეპარებოდა და სიზმარში კი უფრო ლამაზ ყვავილებს, ძაღლებსა და კატებს, ტყესა და ღრეს ხედავდა. ერთ დილით, ის იყო მზემ ამოყო თავი თუ არა, ილიკოს პირდაპირ კედელზე ისეთი ოქროს რგოლები ათამაშდა, რომ კედელზე დახატული ყვავილები უფრო ცოცხლად და უფრო ლამაზად გამოჩნდა. ილიკოს დილის ძილი ძლიერ უყვარდა, მაგრამ ამ დილით მისმა ბებრუცუნა დიდედამ კარი ადრიანად ააჭრაჭუნა, თან ისე ძლიერ გაირახუნა, რომ ილიკოს თვალები ღია დარჩა. მან იმ წამსვე კედელს შეხედა და გაიღიმა. კედელზე ოქროს რგოლები მეტად კოხტად ცეკვავდენ, ხან ზემოთ აციალდებოდენ, ხან ქვემოთ დაეშვებოდენ, დახტოდენ, თითქოს ყვავილებს ეთამაშებიანო.

გარეთ დილის სიო იძროდა, ფანჯრის პირდაპირ მდგომი დიდი ხის შტოებს ცელქად არხევდა და მზის სხივებს სწორედ ისა პენტავდა.

ილიკოს ფერადი ყვავილების დანახვაზე თავისი ახალი სურათებიანი წიგნი გაახსენდა. პაწია მაგიდისკენ ხელი გადმოყო, წიგნი გადმოითრია და გადაშალა.

პირველსავე გვერდზე ტყე იყო დახატული და ქვემოთ ასე ეწერა: „ქალალდის ნაამბობი“. ილიკომ თვალები გააყოლა და წაიკითხა: „მე ახლა მხოლოდ თეთრი, პრიალა ქალალდი ვარ, კოხტა ყვავილებით ამოქარგული. და იცი, უწინ რა ვიყავი? ალბათ, არ იცი და, მგონი, მასწავლებელს შენთვის ჯერ არ უამბია. მაშ მე გეტყვი და ყური დამიგდე.

ოდესღაც მე ულრან ტყეში ტანწერწეტ ლამაზ ხედ ვიზრდებოდი. დილა-საღამოთი ნისლი კენწეროს მიკოცნიდა, თვალ-მარგალიტებით მრთა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვდა. ჩიტები კი კაი მაყრიონივით ჩემს ტოტებზე ისხდენ და მხიარული ჟივილ-ხივილით მართობდენ. ბედნიერი ვიყავ, მაგრამ უბედურება მეც მალე მეწვია.

ერთ დილით ვილაც კაცი მოვიდა, მზეზე ცული სარკესავით შეაპრიალა და ძირს, ღეროში დამიშინა. თვალთ დამიბნელდა, გული წამივიდა... გონს რომ მოვედი, ურმიდან გასხეპილი გადმომიღეს და დიდ შენოპაში შემიტანეს.

ვერ წარმოიდგენ, რა წრიპინი და საშინელი ღრიანცელი იდგა! გავახილე თვალები და ვხედავ: ორივე მხრივ კბილებდაბასრული ბრტყელი რკინა ისე ღრიალებდა და ზემოდან ქვემოთ ისეთ ბუქნას უვლიდა, გეგონებოდა გაგიჟებულაო. დიდი მანქანის საშუალებით უზარმაზარი ხეები იმისაკენ მსუმბუქად მიცურავდენ. ხეების მოახლოვებაზე ის ერთს რომ დაიღრენდა, ქორივით საშინელ წივილს გააბამდა და იმისსხ. ხეებს ყველივით თლიდა.

მე სხვა მანქანასთან მიმიტანეს. ვერ მოვასწარ დამენახა, რანაირი იყო

ეს მანქანა. მახსოვს, რომ მთელ ტანში ჟრუანტელმა დამიარა, თვალთ დამიბნელდა და როდესაც ხელახლა გონს მოველ, სულ მთლად დაფხვნილი ვიყავ, ფქვილივით დიდ ქვაბში ვეყარე. ჩემთვის რაღაც ხსნარი დაესხათ. ამ დაქუცმაცებულ სხეულს ის საშინლად მიწიწკნიდა და მიწვავდა. ამ ხსნარში ვთეთრდებოდი, ვგრძნო-



ბდი, რომ ვიცვლებოდი. ბოლოს რალაც ყალიბში ჩამასხეს და ახლა სხვა მანქანებისკენ გამაქანეს.

აქ მძიმე ლოდივით რალაც დამაწვა და რომ გავიშალე, მთლად თანაბარ, სიფრიფანა სხეულად ვიქეცითითქოს დამთბა და კიდეც გავშრი.

— უჰ, რა კარგი ქალალდი გამოვიდა! — თქვა ვილაცამ და ხელები აამუშავა. იმის ხელების განძრევაზე უცებ ხელმეორედ სხვა მანქანისაკენ გამაქანეს, იქაც კიდევ უარესი სიმძიმე დამადვეს და კიდევ რალაც სითხე დამირთეს. შემდეგ სხვაგან გამამგზავრეს. ასე ხუთჯერ რომ გავიარე მანქანებში და გავშრი, მოქარგული სარტყელივით გამოვაჭყიტე თვალები. მე მეგონა, ეს არის დავიდარაბას მოვრჩი მეთქი, მაგრამ შენც არ მომიკვდე! ახლა ქვემოთ სხვა მანქანა მიცდიდა. ეს მანქანა ციბრუტივითა ტრიალებდა და მეც ზედ მახვევდა. მერე იქიდან ეტლით მალაზიაში წამიღეს და ქვეყანა მე მაქებდა — ეს რა ლამაზი შპალიერიაო.

— ვაი, ბიჭოს! — წამოიძახა გაკვირვებით თვალებგაბრწყინვებულმა ილიკომ და კედლისაკენ გაიხედა.

გარეთ ნიავი უფრო მძლავრად ზუზუნებდა, კედელზე კი მზის რგოლები ისე სწრაფად დაციალებდენ ერთმანეთში გადახლართულნი, ხან იკუმშებოდენ, ხან ისე ფართოვდებოდენ, თითქოს ტკბილად ღიმებოდენ, თითქოს სიცილით კვდებოდენ, რომ ილიკოსათვის ეს ამბავი პირველი გაგონება იყო.

ცქვიტი.



მამამ ურემი სადგურიდან უკან დააბრუნა, რკინისგზის სადგურის ბაქნზე გავიდენ და სამგზავრო ვაგონში დაბინავდენ.

ციალა და დურუ ზეგ სკოლაში უნდა გამოცხადდენ, ზამთრის არდადეგები დამთავრდა, სწავლა ისევ განახლდება, და გამხიარულდება სკოლის შენობა. შებინდებისას ელექტრომავლის სირენის ხმა მოისმა, და მატარებელი დაიძრა. ვარსკვლავებიან კრიალა ცაზე მთვარე კაშკაშებდა, ხშირ ხევებსა და დაყუდებულ მთებს შორის ელექტრომავალი მისრიალებდა.

მგზავრები საუბრობდენ და ვაგონი რიტმულად ირხეოდა. მეზობელი კუპედან ბრმა მეჩონგურე შემოვიდა, ჩონგურს შემოჰკრა და თან დასძახა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„დივლი დალალე, დალალე,
დივლი დალალეო,
კოლექტივში შემოსულხარ,
შენ გენაცვალეო“.

მშვენიერად მღეროდა ბრმა მეჩონგურე. როდესაც დაამთავრა, იქვე მჯდარმა ინჟინერმა ბლომად ჩაუყარა გამოწვდილ ქუდში თეთრი ფული. მგზავრებმაც დაასაჩუქრეს მოხუცი. ციალამ მამის მოცემული ხურდა აჩუქა.

— იცოცხლეთ, იმხიარულეთ...

დაილოცა მოხუცი და წავიდა.

— საწყალი მოხუცი ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში დაბრმავდა, თურმე, როგორც მიამბეს,— თქვა ინჟენერმა.

— ძალიან ხშირად მხვდება, ის სულ მატარებელს დაჰყვება ხოლმე,— გაესაუბრა ციალას მამა.

— თუმც ვერაფერს ხედავს, მაგრამ გრძნობს, რომ რაღაც კარგი კეთდება, და ისიც იმღერის ლექსებს ჩონგურზე.

— მართლა, კოლექტივზე მღეროდა. თუმცა მას მეფის დროის შემდეგ არაფერი უნახავს სიბრმავის გამო,— იბრალებდა მოხუცს ინჟინერი.

მატარებელი კი რომელიღაც სადგურს უახლოვდებოდა. ფანჯრებს იქით ხშირთოვლიანი მთების მწვერვალებს მთვარე და ვარსკვლავებიანი ცა დაქათქათებდა.

— განა მარტო კოლექტივზე მღერის, მან ყველაფერზე იცის ლექსის თქმა. ერთი კვირის წინ რომ ვიმგზავრე, ელექტრომავლის შესახებ მღეროდა.

განაგრძობდა საუბარს მამა.

— ელექტრომავალი ჩვენში ახალი რამეა, ჩანს, ყველას ყურადღება მიიქცია.



— დიახ, თქვენ, როგორც გეტყობათ, ინჟინერი ბრძანდებით. რამდენად მართალია: როგორც ამბობენ, მალე სულ ელექტრომავლები ივლის, თურმე, ყველა ხაზებზე,— გაუბა საუბარი.

— მართალია, ინჟინერი გახლავართ, სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციაზე ვმუშაობ, ახლაც ტფილისში მივდივარ ამ საქმის შესახებ.

მატარებელი ისევ მიქროდა და ვიღაც გულიანად ხვრინავდა იქვე საწოლზე.

— საინტერესოა და დი-

დი ხნის ისტორიაც არა აქვს, მგონი, ელექტროენერგიის გამოყენებას რკინის-გზის დარგში, არა?

ეკითხებოდა მამა ისევ ინჟინერს, ციალა და დურუ კი თავაზიანად შესცქეროდენ ამ კაცს და დინჯად უსმენდენ.

— ჩვეულებრივი ორთქლმავალი ას წელზე მეტია, რაც გამოიგონეს. პირველად ორთქლი გეორგ სტეფენსონმა და ჯემს უატმა, ცნობილმა მეცნიერებმა, გამოიყენეს როგორც მამოძრავებელი ძალა... მაგრამ უმჯობესი შეიქნა დროთა ვითარების შემდეგ ელექტროენერგიის გამოყენება ამ დარგში... აი, პირველად ამერიკამ აამოძრავა პირველი ელექტრომავლები 1910 წელს.

— მაგრამ კატასტროფები ახასიათებს ხოლმე, ეს კი ცუდია!

— არა, პირიქით, მას ახასიათებს გაორკეცებული სიმძლავრე ჩვეულებრივ ორთქლმავალთან შედარებით, მეტი სიჩქარეც... და ჩვენში უთუოდ ძალიან სასარგებლოა ასეთი სახის ტრანსპორტი.

— ჯერ მხოლოდ უღელტეხილზე ვიყენებთ, არა?!

— დიახ, მაგრამ მალე მთელ საბჭოთა კავშირის რკინისგზებზე ივლიან მძლავრი ელექტრომავლები და უჩვეული სიჩქარით დასერავენ თვალუწვდენელ ტრიალ სივრცეებს...

ელექტრომავალი უკვე წიფის გვირაბში მისრიალებდა, მძლავრი ელექტროლამპები ანათებდა გვირაბს.

— ელექტრომავლის მემანქანე როდი ისვრება, ჩვეულებრივი ორთქლმავლის მემანქანესავით, მაზუთით, მურით... აქ სრული განსხვავებაა...

და ინჟინერი გატაცებით უამბობდა ერთ პატარა შემთხვევას რკინისგზისა და ელექტრომავლის შესახებ.

ბავშვები მთლიანი გულისყურით უსმენდენ.

უკვე გვიან იყო...

მგზავრები აქა-იქ მიწოლილნი თვლემდენ.

ვიღაც შეუწყვეტლივ ხროტინებდა ძილში.

ელექტრომავალი მიარღვევდა სივრცეს გვირაბიდან გასული.

მთვარე ჩასულიყო...

თებერვლის ღამე ძალუმად ყინავდა.

ხშირ გორაკებსა და ხევ-ხუვებს შორის უჩვეული სისწრაფით მისრიალებდა სამგზავრო მატარებელი და ელექტრომავლის სირენის ხმა არღვევდა დაბინდულ ღამის მყუდროებას.

ადრიან დილით ტფილისის ქუჩებში მიაბიჯებდენ მამასთან ერთად დურუ და ციალა...

მეორე დღეს დურუ უამბობდა სკოლაში თავის ტოლბიჭებს არდადაგებზე გატარებული დღეების შესახებ და ელექტრომავალზე, რომლითაც იმგზავრა სოფლიდან და რომელზეც ბევრი რამ უამბო უცნობმა ინჟინერმა მას და მამამისს...

დავ. ზამათავა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



(რუსულიდან)

— პოტოკინ,—მიმართა მასწავლებელმა თავის მოწაფეს,—მიამბე, რა იცი შორეული აღმოსავლეთის ბუნების შესახებ.

პოტოკინმა შორეული აღმოსავლეთის ბუნების შესახებ არაფერი იცოდა, მან საერთოდ არაფერი იცოდა, რადგანაც საშინელი ზარმაცი, იყო, შინ გაკვეთილებს არ ამზადებდა. აი ამიტომ მას ამხანაგებმა დიდიხანია რაც მცონარა დაარქვეს.

მასწავლებლის შენიშვნამ—საჭიროა იმეცადინოო, მას ბრაზი მოჰგვარა. „სად მეცალა მეცადინეობისათვის: დღეს დილით მზის ამოსვლისას უკვე სახლის სახურავზე ვიყავი და მტრედებს ვაფრთხობდი... აბა ერთი მასწავლებელმა სინჯოს იმ სიმაღლეზე ასვლა, თუ ბიჭია!“

პოტოკინი თანდათან გაერთო ფიქრებში... მან მოიგონა გუშინდელი დღე, როცა იდგა გრძელი ჯოხით ხელში სახლის სახურავზე და მტრედებს აფრთხობდა. საღამოს კინოში იყო... შინ გვიან მივიდა. მიუხედავად ამისა დილით მაინც ადრე ადგა. მშობლები კი მაინც ეძახოდენ: „აი, შე მცონარავ!“.

— აი, შე მცონარა!—გაიმეორა ვილაცამ პოტოკინის უკანა მერხზე მჯდომი ზინას ხმით, ოღონდ ხმა უფრო წვრილი და სუსტი იყო.

პოტოკინს უნდა გაჯავრდეს, მაგრამ... ეს რაა?! მასთან არც ზინა არის და არც სხვა ამხანაგები. საკლასო ოთახის მაგივრად ის ხედავს მაღალ ხეს, რომელზედაც შემომჯდარა მისი მტრედი და ჩამოსძახის:

— აი, შე მცონარა!

პოტოკინი ბრაზით ინთება და უძახის მტრედს:

— შენ მეუბნები მცონარა ხარო. მე მცონარა რათა ვარ, როცა დილით ხუთი საათიდან უკვე სახლის სახურავზე ვდგავარ და შენს ამხანაგებს ვაფრთხობ!.

მაგრამ მტრედი წვრილი, სასიამოვნო ხმით ეუბნება:

— ნუ ბრაზობ, მცონარავ, უმჯობესია ის გააკეთო, რასაც მე გეტყვი. შენ ახლა ერთი გადააფურთხე, შემოკარი ტაში, შემოტრიალდი ცალ ფეხზე და, რასაც მოისურვებ, ყველაფერი შეგისრულდება!

პოტოკინსაც ეს უნდა: ამას რა სჯობია, თუ წაუკითხავად გაიგებს შორეული აღმოსავლეთის ამბებს, ან გაკვეთილებს დაისწავლის. მან სიხარულით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გააფურთხა, შემოკრა ტაში და ისე დაბზიალდა ცალ ფეხზე, რომ თავბრუ დაესხა და აღარ იცოდა რის ასრულება მოესურვებია.

ისევ მტრედი შეეკითხა:

— გინდა წაგიყვანო უკან, სკოლაში?

— არა, არა!—შეკრთა მცონარა პოტოკინი.

— იქნება შინ წასვლა გინდოდეს, მშობლებთან...

— არა, არ მინდა!—შეჰყვირა მან.

— ანდა იქნებ გსურდეს ისეთი...

— ქუდი,—გააწყვეტინა პოტოკინმა, რადგანაც თავბრუდასხმისაგან უკვე გამოერკვა და შეეძლო მოეფიქრებია, თუ რა უნდოდა:—ქუდი ისეთი, როგორიც გოგის აქვს!

— ქღაშ!—გაისმა და ქუდი თავზე ჩამოეფხატა.

— მინდა, რომ ფეხსაცმელები სუფთა მქონდეს!

ველარაც კი მოასწრო სიტყვის დასრულება, რომ მისმა ფეხსაცმელებმა სარკესავით ლაპლაპი იწყო.

— ტანისამოსი!—განაგრძობს პოტოკინი,—ახალი იყოს და ისეთი, რომ ღილები თავისთავად იბნეოდეს.

ერთი! ორი!—და მცონარას თავისით მოერგო ახალი ტანისამოსი და მერე რა მშვენიერი! არც ღილები, არც დუგმა, რომ მის შებნევას შრომა სჭირდებოდეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ნაყინი და ტკბილეულობა!—განაგრძობს კარგ ხასიათზე მოსული პოტოკინი.

მართლაც ყველაფერი მის წინ გაჩნდა.

— ცოტა უფრო მეტი და პირდაპირ პირში!—შეწუხდა მცონარა, რადგან ტკბილეულობის პირთან მიტანას შრომა სჭირდებოდა.

მის წინ უამრავი ტკბილეულება დაგროვდა. მცონარა შეუდგა ჭამას და მერე როგორ! ტკბილეულობა თავისით მიუცვივოდა პირში. არც ღეჭვა სჭირდებოდა, არც არაფერი, მხოლოდ გადაყლაპვა უნდა მოესწრო, რომ არ დახრჩობილიყო.

ოჰ, რამდენი ტკბილეული შეჭამა პოტოკინმა, მეტი ჭამისაგან მუცელიც კი ასტკივდა.

— მინდა მუცელი არ მტკიოდეს!—წამოიკვნესა მან, და წამსვე ტკივილები მიუყუჩდა.

— კიდევ რა გინდა?—შეეკითხა მტრედი, როცა მცონარამ თხოვნა დააგვიანა.

— სეირნობა ჰაეროპლანით!

— რრრრრ, -და აფრინდენ.

— საით?—შეეკითხა მტრედი.

პოტოკინმა შორეული აღმოსავლეთის სახელიც კი ვერ მოიგონა, თორემ ქითკენ სთხოვდა მტრედს გაფრენას.

— წამიყვანე სადმე უცხო ქალაქში!

ჰაეროპლანი გაძვრა ღრუბლებში და ცოტა ხნის შემდეგ უცხო ქალაქში ჩამოეშვა.

ცხოვრობს მცონარა კარგად, ირგვლივ ყველა ფუსფუსებს, შრომობს ხოლოდ თვითონ არაფერს აკეთებს; რასაც მოისურვებს, ყველაფერს მტრედი აძლევს, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელდა ასე: ხალხმა დაინახა პოტოკინის უსაქმობა და აქაც დაუწყეს ძახილი: „მცონარა! მცონარა!“ ახლა უკვე აღარ მოეწონა მას ეს ქალაქი და სთხოვა მტრედს:

— წამიყვანე ტყეში მხეცებთან! მომბეზრდა ხალხში ცხოვრება, ყველა მცონარას მეძახის!

და აი მცონარა უკვე ტყეშია.—მხეცები შესანიშნავნი არიან,—ფიქრობს ის მხეცებს არ შეუძლიათ მას მცონარა დაუძახონ, რადგან ადამიანისთვის გასაგებ ენაზე ვერ ლაპარაკობენ. ცხოვრობს უდარდელად მცონარა: სვამს, ჭამს და სეირნობს.

მალე დაინახა მან, თითქოს მხეცები ცუდი თვალით უყურებენ. ერთ დღეს კი ისიც შეამჩნია, რომ მელია მგელს ჩუმად რაღაცას ეუბნებოდა.

— მტრედო!—დაიყვირა მცონარამ,—მე მინდა გავიგო მხეცების საუბარი.

და იმ წამსვე გაიგო მან, თუ რას ეუბნებოდა მელია მგელს:

— მგელიკო, მეგობარო, კარგი იქნება, რომ ამ მცონარას ჩაყლაპავდე!

— რასაკვირველია!—დაემოწმა მგელი ჩირგვის ძირიდან,—ის ნამდვილი მცონარაა. ჭამს, სვამს და მღერის. არაფერს აკეთებს. მთელ ტყეს მოაბეზრა თავი თავისი უსაქმობით.

— საშინელია! მოგვაბეზრა თავი! მცონარა! მცონარა!—ისმოდა ყოველი მხრიდან.

— შეჭამე, შეჭამე,—წამოიკივლა ტურამ.

— უნ-და ჩა-ყლა-პო! უნ-და ჩა-ყლა-პო!—ყიყინებდა გუბის ნაპირას თვალებგადმოკაკლული ბაყაყი.

— კი, კი, კი!—ფრთების სწორებით იძახდა გარეული ბატი.

მხოლოდ ერთადერთი ბელურა ჭიკჭიკებდა:

—ჭიკ-ჭიკ... ჭიკ, ჭიკ, ჭიკ... მცონარავ, წადი შინ!

— შენ, ძმაო, ჩაყლაპე ეს ნაცარქექია, მე კი მეძინება!—წაჰბურტყულა დათვმა მგელს და თავის სოროში მოიკალათა.



შეშინდა მცონარა... ბიშისაგან ვერც კი მოახერხა აქედან მშვიდობით გაყვანა ეთხოვა მტრედისათვის. ამ დროს პირღია მგელმაც მოაშურა მისკენ.

გაიქცა მცონარა,—მგელიც დაედევნა.

გადახტა ის წყალში,—მგელიც თან მიჰყვა.

ავარდა ხეზე,—მგელიც აბობღდა.

გაიქცა თავისი ქალაქისაკენ,—ხედავს, მგელიც თან მისდევს და ეს ეს ალბ. უნდა მისწვდეს.

შეახტა იმ დროს მომქროლავ ტრამვაის... ჰგონია მგელს გაუსხლტა, მაგრამ ხედავს მხეცი თან მოსდევს და კბილებს ახრჭიალებს.

შევარდა მცონარა სკოლაში,—მგელმაც ფხაჭაფხუჭი აუყენა კიბის საფეხურებს, შევარდა სამეცადინო ოთახში;—მგელიც თან მიჰყვა. მიაშურა მასწავლებელს, და ამ დროს მგელმაც თავისი თათი მხარზე დაავლო...

—ვაი!—მთელი ძალით წამოიღრიალა მცონარამ.

მგელი გაქრა... ირგვლივ პოტოკინის ამხანაგებია... მასწავლებელს მისთვის ხელი მხარზე დაუდვია და ანჯღრევს.

— სად არის მგელი... მომდევდა...—დაბნეულად კითხულობს ის.

— აი შე მცონარა!—უყვირის გოგია.—არა გრცხვენია, რომ გაკვეთილებზე გძინავს?

ახლა კი მიხვდა პოტოკინი, რომ მას, ფიქრებში გართულს, ჩასძინებოდა და მტრედისა და მგლის ამბავი მხოლოდ სიზმარი იყო. მას შერცხვა, თითქმის ატირდა.

— მაპატიეთ!—ამოილუღლუღა მან:—დღეიდან ბეჯითად ვისწავლი, არ ვიქნები მცონარა!

და მართლაც მიატოვა სიზარმაცე და მალე ერთერთი საუკეთესო მოწაფე შეიქნა.

შოთა გაფრინდაშვილი.

მედიკოს მელა.

პატარა მედიკომ პირველად სამხეცეში ნახა მელა. სხვა ცხოველებში ყველაზე მეტად ის მოეწონა,

— მამი, შეხედე, რა კარგი ფისოა, როგორ მოუსვენარია, როგორ დახტის აქეთ-იქით გალიაში!

მართლაც, ყურებაცქვეტილი მელა ხან ერთ კედელს მიასკდებოდა და ხან მეორეს. წვრილი შავი თვალები ბოროტად უელავდა; ხშირად გალიაზე მოსეულ ცნობისმოყვარე ხალხს გადახედავდა, ცოტახნით შედგებოდა და ისევ განაგრძობდა გალიაში ცუნცულს.

— მამი, ჩემო მამი, მიყიდე ასეთი ფისო!—მიუბრუნდა მედიკო მამას.

— ეს ფისო კი არ არის, შვილო, მელაა. ხომ გახსოვს, შარშან სოფელში ბებიას ქათმებს რომ სტაცებდა.

მედიკომ თვალები დააჭყიტა.

— მაშ ეს მელაა, საწყალ ქათმებს ყელში კბილებს რომ წაუჭერს და საქათმიდან მიათრევს? რა ლამაზი ყოფილა! არასოდეს არ იფიქრებდა ასეთ კოხტა, პატარა ცხოველზე, რომ ის ქათმების მტერი იქნებოდა.

მოაგონდა მედიკოს თეთრი ქოჩორა ვარია, ბებიამ რომ აჩუქა; საკენკს თავისი ხელით აჭმევდა, ეზოში სულ მუდამ ერთად დადიოდენ, ქოჩორა ფეხ-

დაფეხ დასდევდა მას, ისეთი კარგი მეგობრები იყვნენ, რომ სადილობა, როცა სუფრა გაიშლებოდა, მედიკო, ყოველივე ლუკმის აღებისას, დანამცეცებულ მჭადს ან პურს იქვე მის ფეხებთან მოჭუკჭუკე ქოჩორას ჩაუყრიდა.

თვალები ცრემლებით აევსო ქოჩორას მოგონებაზე. მერე კი ერთ მშვენიერ დილას, როცა ბებია ქათმებს ტკბილი ხმით გასძახოდა; „ჯუჯ, ჯუჯ, რრრ, რრრ“, ქოჩორამ, ჩვეულებრივ, მედიკოსთან აღარ მოირბინა.

— ის გასაწყვეტი, ის! ალბათ მელამ მოიტაცა, წუხელ შელამებისას შემომესმა ქათმების წიოკობა,—ამბობდა ბებია. მართლაც, საღამოთი მედიკომ მისი ქოჩორას ლამაზი ბუმბულის გასისხლიანებული გროვა ნახა ვენახის ღობესთან. იმ დღეს აქეთ შესძულდა მელა, რომელიც ჯერ არც კი ენახა.

— მედიკო, წამოდი აქეთ, სხვა მხეცები ნახე!—ეძახდა მამა მედიკოს, რომელიც ისევ მელას მისჩერებოდა.

— მამი, ჩემო მამი, მიყიდე მელას შვილი, მე იმას გავზრდი, გადავაჩვევ ქათმების მოტაცებას.

მამას გაეღიმა.

— კარგი, შვილო, გიყიდი, როგორც სადმე შემხვდება, უთუოდ გიყიდი.

ამ დაპირებით აღტაცებული მედიკო სიხარულით ათვალიერებდა სხვა მხეცებსაც.

— მამი, სპილო არ ჭამს ქათმებს?

— არა, შვილო,—მიუგო მამამ.— სპილო ხორცეულს არაფერს ჭამს, ფოთლეულით და საერთოდ მცენარეულობით იკვებება.

მედიკო ჩაფიქრდა.

— სპილო ასი ქათმის ოდენაა, მას შეუძლია თუნდაც ფეხის მსუბუქი დადგმით გაჭყლიტოს რამდენიმე ქათამი და ასეთი ცხოველი არაფერს უშავებს ქათმებს; მელა კი, ეს პატარა ცუნცულა მელა, რომელიც სამ ქათამს ძლივს უდრის, სულ ანადგურებს შინაურ ფრინველებს. არა, მე უნდა გავზარდო მელა ისე, რომ ქათმების მოტაცებას გადავაჩვიო! ამ აზრით გატაცებული მედიკო მხიარული ხტუნვით მიჰყვებოდა მამას შინისაკენ.

მეორე დილით მედიკომ ყველაზე ადრე მიირბინა საბავშვო ბაღში. მოუსვენრად დახტოდა აქეთ-იქით, ეჩქარებოდა გუშინდელი ექსკურსიის შთაბეჭდილებანი გადაეცა ამხანაგებისათვის. ხუთი წუთის შემდეგ მედიკო თავის ამხანაგებში იჯდა და ნახულის შესახებ უამბობდა.

— ყველაზე უფრო მელა მომეწონა,—უამბობდა მედიკო.—იცით, ისეთი პატარა და ლამაზია, აცქვეტილი ყურები აქვს და წვეტიანი ცხვირი.

— მე მინახავს მელა!—წამოიძახა ერთმა ოქტომბრელმა, რომელიც მაგიდაზე შესკუპებულიყო.

— მეც,—თქვა მეორემაც. დედაჩემს ყელზე აქვს მოხვეული მელას ტყავი ზამთრობით. პატარა როცა ვიყავი, მეშინოდა კიდეც მისი, ისეთი ლამაზი გრძელი ყვითელი ბეწვი აქვს.

—ყვითელი კი არა, შავი ბეწვი აქვს,—გაუსწორა მედიკომ.

— არა, მე ყვითელი მელა მინახავს.

ბავშვები ორ ჯგუფად გაიყვენ. ერთნი ამბობდენ მელას ყვითელი ბეწვი აქვსო, მეორენი კი მედიკოს ემხრობოდენ.

— რატომ ჩვენ კი არ წაგვიყვანა მასწავლებელმა სამხეცის დასათვალიერებლად?—წამოიძახა ერთმა; სწორედ ამ დროს ოქტომბრელების ხელმძღვანელმა შემოაღო კარი. ყველანი იმას მისცვივდენ. ხელმძღვანელმა მათ აუხსნა, რომ სწორედ ამ დღეებში ისინიც აპირებდენ წასვლას.

— მასწავლებელო,— შესძახა მედიკომ.—ლევანი ამბობს, მელას ყვითელი ბეწვი აქვსო, მე კი გუშინ ჩემი თვალით ვნახე სამხეცეში შავბეწვიანი მელა.

— მელის ბეწვი შეიძლება სხვადასხვა ფერისა და სიგრძისა იყოს,—აუხსნა მასწავლებელმა,—იმის მიხედვით, თუ სად ცხოვრობს, როგორ გეოგრაფიულ პირობებში—სამხრეთით, სადაც თბილა, თუ ჩრდილოეთით, სადაც დედამიწის ზედაპირიც ყინულითაა დაფარული. არსებობს სხვადასხვა ჯიშის მელა: ზოგი ყვითელია, ზოგი რუხი, თეთრი, შავი. იმ ადგილებში, სადაც მუდმივი თოვლია, მელა და სხვა ცხოველებიც ღია ფერისანი არიან, უმთავრესად თეთრი, რომ მტრის თვალთაგან შეუმჩნეველი დარჩენ, და გრძელი ბეწვიც აქვთ—სიცივისაგან სხეულის დასაფარავად.

იმ გაკვეთილზე მასწავლებელმა ოქტომბრელებს დაფაზე დაუკიდა დიდი სურათი, სადაც ეხატა ტყის პირად დედამელა თავისი მელუკებით, რომელთა წინაც ყელგამოჭრილი ქათამი ეგდო. ბავშვები ერთმანეთს ასწრებდენ სურათის შინაარსი გადაეცათ მასწავლებლისათვის.

დასვენების დღეა. მედიკოს სტუმრები ჰყავს, მზიან აივანზე სხედან და კუბიკებიდან სახლებს აშენებენ. კარგახანია, რაც ამას თამაშობენ, უკვე მოსწყინდათ.

— ვახტანგ, ქეთინო, დალი, გურამ, ეზოში ჩავიდეთ, დიდი ბურთი ჩავიტანოთ და ვალეიბოლი ვითამაშოთ. გახსოვთ, ქვიშხეთში ოქტომბრელთა ბანაკში ჩვენი აღმზრდელები რომ თამაშობდენ.

— ჰო, მართლა, რა კარგი იქნება!—ბავშვებმა ჟივილ-ხივილით ჩაირბინეს კიბეები. ყველაზე წინ ქეთინო მირბის, ხელში უზარმაზარი ბურთი უჭირავს. ეზოში გასასვლელ კიბესთან ფეხსაწმენდი გდია, ქეთინომ ვერ შეამჩნია და ფეხი წაჰკრა, ხელიდან ბურთი გაუსხლტა, თვითონ კარებში გაიშხლართა, ბურთი კი ეზოში გაგორდა.

— ეგრე გინდა!.—ეძახის გურამი.—ყველაზე წინ გარბოდი და ახლა კი, მგონი, ყველას ჩამორჩე.

ქეთინო დარცხვენით იწმენდს გამტვერიანებულ კაბას.

— მომეცით ჩემი ბურთი, აღარ მინდა თქვენთან თამაში!—თან ცრემლებით ევსებოდა თვალები.

— ბავშვებო, გახსოვთ, მასწავლებელმა რა გვითხრა: არასოდეს არ უნდა იჩხუბოთო. დაწყნარდი, ქეთინო, გურამი მეტს აღარ გაგაჯავრებს,—სერიოზული კილოთი ამბობს მედიკო.—მე ვიწყებ თამაშს, აბა, დადექით, წრე გააკეთეთ. აი ასე. ერთი, ორი, სამი!

მედიკოს მიერ ვახტანგისაკენ გადასროლილი ბურთი დალის მოხვდა თავში. ბავშვებმა სიცილ-კისკისი ატეხეს. დალი მოიღრუბლა, შეურაცხყოფილად იგრძნო

თავი, მაგრამ როცა გამხიარულებულ ბავშვებს გადაჰხედა, ბურთი მოიმარჯვა და სამაგიეროდ ვახტანგს ესროლა, რომელიც ყველაზე მეტს ხარხარებდა. თავი გახურდა. ბავშვები ბურთს მიწაზე აღარ უშვებენ, ლოყები შეუწითლდათ, თმები დაეწეწათ.

— მედიკო, მედიკო!—ისმის მეორე სართულიდან. დედა ეძახის:

— აბა, ამოდი, ნახე, მამამ რა მოგიყვანა.

მედიკოს უცებ რაღაც მოაგონდა, შურდულივით მოსწყდა ადგილს და კიბეებისაკენ გაექანა, სულამოუთქმელად შეირბინა აივანზე.

— აბა, სად არის, დედილო, მაჩვენე რა მომიყვანა?—მივარდა კუთხეში მდგარ თავმოკრულ კალათს, რომელიც როგორღაც უცნაურად ტოკავდა.

ფრთხილად, შვილო, არ გაიქცეს. დაიცა, ოთახში შევიყვანოთ და იქ გავხსნათ.—ბავშვებიც, რომლებიც მედიკოს თან გამოჰყვენ, იქვე იდგენ, თვალები გაგანიერებოდათ ცნობისმოყვარეობისაგან.

— გოჭი იქნება,—ამბობს დალი.

— არა, ბელურა იქნება,—დინჯად აცხადებს გურამი, რომელსაც ბელურების დევნა ძლიერ უყვარს. ამ შენიშვნაზე ყველანი იცინიან.

— როგორ შეიძლება ბელურამ ამოდენა კალათი შეანძრიოს!—დასცინის ვახტანგი გურამს.

ბავშვებმა კალათი შეათრიეს ოთახში, კარები და ფანჯრები ჩაკეტეს. დედამ ფრთხილად გადახსნა თავმოკრული კალათი; ერთ კუთხეში მობუზული პაწია შავთვალა, გრძელცხვირა რუხი ცხოველი.

— ეს ხომ მელაა!—ყვირის გახარებული მედიკო,—მამა რომ დამპირდა! შენ გენაცვალე, ჩემო მამიკო, რა კარგი ქენი, რომ მიყიდე! მელუკა, ჩემო მელუკა!

პატარა მელა კი ხასიათზე არ იყო. ისე ასრიალებდა წვრილ შავ თვალებს, რომ გულადი ვახტანგიც კი დაშინდა. გურამი შორიდან უყურებდა.

— ალბათ, მოშიებული იქნება, დედა, მომეცი რამე, ვაჭმევ. მაგრამ კალათიდან როგორ გადმოვსვათ?

მედიკო მიუახლოვდა მელას, უნდოდა ყურებში წაევლო ხელი. მაგრამ პატარა ცხოველმა ისე ბოროტად დაუფთხვინა, რომ შეშინებული მედიკო უკან გადახტა. ბავშვები საგონებელში ჩავარდენ. უცებ გურამი შეხტა:—მოდით, კალათა გადავაბრუნოთ, მაშინ გადმოვა, აბა რას იზამს.

მართლაც, კალათი პირქვე დაამხეს. საწყალმა მელამ ერთი დაიწკმუვლა და იატაკზე დაეცა. ვახტანგმა კალათა ააცალა, მელა კი მაშინვე ბნელი კუთხისაკენ გაექანა. გალაქულ იატაკზე ფეხი უცურდებოდა, მისი კლანჭები, რომელიც ტყეში ხავსიან ნიადაგზე სირბილში მისთვის საუკეთესო დამხმარე იყო, აქ სრულიად ზედმეტი აღმოჩნდა.—ბრჭყალები უნდა დავაჭრა,—გადაწყვიტა მედიკომ. ამ დროს დედამ ჯამით რძე შემოიტანა და მელას წინ დაუდგა, მელა კი ადგილიდან არ ძროდა.

— ხვალ ისევ შევგროვდეთ და ჩვენ ახალ მეგობარს სახელი ამოვურჩიოთ, გადაწყვიტეს ბავშვებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დღეს მედიკომ უამბო ბავშვებს, თუ როგორ დასჭირდა მამის დახმარება, რომ მელასთვის რამდენიმე კოვზი რძე ჩაესხა პირში.

—ძალიან ეშმაკია, სულ იმას ეძებს, საით გადახტეს და დაიმალოს.

— მოდით, ბავშვებო, ეს მელა ერთი მაგრად დავტუქსოთ,—წინადადება შემოაქვს ვახტანგს.— ჯერ მოვეწყოთ, შუაში მაგიდა დავდგათ, ზედ მელა დავსვათ. ასე უკეთესი იქნება.

ოთახი აირია: ზოგი მაგიდას მოათრევდა, ზოგი სკამს. მელა ისევ უცხოობდა, მედიკოს კი მისი აღარ ეშინოდა, დაიჭირა და მაგიდაზე დასვა. ერთ წუთში ყველაფერი დაწყნარდა. შუაგულ მაგიდაზე წამოსკუპული მელა ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა ირგვლივ შემომსხდარ ბავშვებს და თავისუფალ ადგილს ეძებდა, რომ გადამხტარიყო და ბნელი კუთხისათვის შეეფარებია თავი.

— ამხანაგებო, ჩვენი მელუკა მელიაშვილი,—დაიწყო მედიკომ,— როგორც მამამ გადმომცა, ერთ ულრან ტყეში დაიბადა. მონადირეებმა მისი დედა ქათმის ქურდობისათვის დაიჭირეს და შვილიც თან გამოაყოლეს. თურმე, არცერთ საქათმეში ქათამი აღარ დააყენეს, შარშან ბებოს წიწილებიანი კრუხი მოსტაცეს. საერთოდ, მელუკასა და მათ ჯიშს ეს ბოროტი თვისებები ახასიათებთ. ჩემი საწყალი ქოჩორა მაგათი მსხვერპლი არ შეიქნა? ჩვენ როგორმე უნდა ვეცადოთ და მელუკა ისე აღვზარდოთ, რომ ქათმების მოტაცებას ვადავაჩვიოთ.

— გესმის, მელავ,—მიუბრუნდა ვახტანგი.—შენ შინაური ფრინველების მოტაცება აღარ უნდა გაბედო, თორემ ჩვენ შემდეგ იძულებული ვიქნებით წკეპლებით გაგიმასპინძლდეთ.

ცბიერი ცხოველი კი ხან ერთ ბავშვს შესჩერებოდა, ხან მეორეს. მელას მელუკა დაერქვა.

* * *

ზაფხულია. მედიკოს ოჯახი სოფლად წასასვლელად მომზადებულია.

— მელუკა, ჩემო მელუკა, ახლა მატარებელში ჩაგსვამ. მჯდარხარ როდისმე მატარებელში?—ესაუბრება მედიკო მელას. მელუკა უკვე დიდი გამხდარა, ბეწვი გაჰმუქებია, ყურები და კუდი გაზრდია, ძალიან უყვარს თავისი გამზრდელი, თუმცა ის კი არ მოსწონს, რომ ხორცის ჭამას უკრძალავს, რამდენჯერმე ჩუმად მოიტაცა სამზარეულოდან ხორცი და მისი ნამოქმედარი ყოველთვის საწყალ ფისოს დააბრალეს.

სოფელში მთა-გორების დანახვაზე ერთი-ორად გამოცოცხლდა მელუკა, ანსაკუთრებით კარგად გრძნობს თავს ქათმების საზოგადოებაში.

— ხომ გეუბნები, ჩემო ბებო, რომ მელუკა ქათმებს არ ემტერება: ხედავ, როგორ ეთამაშება ვარიებს. ნუ გეშინია, ბებო, არ მოგტაცებს, ეგ ხომ სავსებით გადავაჩვიე ხორცის ჭამას!—ამაყად ამბობს მედიკო, მელუკა კი ხან ქათმებს დასდევს, ხან კი სიბრაზისაგან გაფოფრილ ინდოურებს და სიამოვნებით კოტრიალებს. მასში ტყეში თავისუფლად ცხოვრების სურვილი იღვიძებს.

მედიკო არაფერს არ იშურებს იმისათვის: დღეს ნახევარი წველა ჭყინტი გყველი შეაჭამა, ერთი ჯამი რძე, და მელუკაც თითქოს კმაყოფილია. მთელ სოფელს მოედო მედიკოს მელას ამბავი; მოდიან და მოდიან ბავშვები: ზოგი

პიონერია, ზოგი ოქტომბრელი. უკვირთ ძალიან. მათ მასწავლებელმა აუხსნა, რომ მელა მტაცებელი ცხოველია, შინაური ფრინველის მტერი, ეგ ეს ჰგავენ: მელა ქათმებთან თამაშობს და ადამიანებსაც სრულებით აღარ ეშინდება, აღარც გარბის მათ დანახვაზე.

ბებოს საგანგებოდ მოშენებული ჰყავდა ჰოლანდიური ჯიშის ქათმები, სოფლის კოლმეურნეობის თავჯდომარემ გამოუგზავნა კოლექტივში ერთგული მუშაობისათვის. რამდენიმე ქათამი უკვე კვერცხსაც დებდა. განსაკუთრებით ერთი ჭრელი ვარია უყვარდა, რომელიც მართლაც განსხვავებული სიდიდის იყო. აი, ამ ვარიას დაუმეგობრდა მელუკა, სულ იმას ეთამაშებოდა, ხან თავში წაარტყამდა თათს, ხან კუდს მოსწიწკნიდა.

— არ მომწონს, შვილო, იმ მელიის ჩემ ქათმებში თარეში. მელა მაინც მელურად მოიქცევა, დავიღუპები და ქათმებს მომტაცებს. — შესწუწუნებდა ბებია, მედიკო კი მხიარულად კისკისებდა და მელუკას ეთამაშებოდა.

ერთ მშვენიერ დილას, როცა მზე ჯერ არც კი ამოსულიყო, მედიკო ბებოს ხმაურმა გამოაღვიძა.

— მოუტაცია ჩემი ვარია, მერე რა კარგი სანაშენო იყო! არ დამიჯერეს, მელა მოშინაურდებაო, სად გაგონილა მხეცის მოთვინიერება, სულ მუდამ ტყისკენ ეჭირა თვალი! ვაი, ჩემო ვარიავ!

მედიკო ჯერ ხეირიანად ვერ გამოფხიზლებულიყო, ბუნდოვანად კი გაიგო, რომ საუბარი მის მელუკას შეეხებოდა. დასძლია თავი და წამოხტა.

— რა ამბავია, ბებო, რა მოხდა?

— რა ამბავია და შენს მელუკას საუკეთესო ჰოლანდიური ვარია მოუტაცია და ტყეში გაქცეულა, ბებიას თავისი თვალით დაუნახავს, ტყისაკენ როგორ მიარბენინებდა გაგუდულ ქათამს, — უპასუხა დედამ.

მედიკოს ტირილი წასკდა, ენანებოდა, ბებო რომ გააჯავრა, ენანებოდა ლამაზი ჭრელი ვარია, მაგრამ ყველაზე უფრო ენანებოდა თავისი საყვარელი ველური მეგობარი, რომლის აღზრდაზე იმდენი იშრომა და საბოლოოდ კი შრომამ ფუჭად ჩაუარა.

თამარ ოყრეშიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოქტომბრელის სიმღერა

სიტყვები ე. აკლოძისა.

მუსიკა თამარ შავერზაშვილისა



3. ჩვენ გამოვჭედთ ისეთ ლოზუნგს მუდამ,
   რომ მისი ხმა ჰქუხდეს ირგვლივ მძაფრად,
4. რომ სკოლაში, ქუჩაში და მინდვრად
   ირხეოდეს ის, ვით გემზე აფრა.
5. გასრიალდა კრიალა ხმა ირგვლივ,
   წინ მივდივართ, ოქტომბრელო, ჰერე!

სარედაქციო კოლეგია: აბაშიძე ირაკლი (პ/მგ. რედაქტორი), აღლაძე ელენე (პ/მგ. მდივანი), ღვინიაშვილი ან., მარიჯან, ხაბაზტარაშვილი ლიდა, ლ. ანდრეაძე.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, აღმასკომის ქ., № 7. სახელგამი.

სტამბა—გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა"-სი

შეკ. № 510. მთავლ. № 115. ტირ. 25000

165

სიკო ბელურაძის საოცარი ფიგურები.



ყველა, ყველა მეუბნება, რომ მე კარგი ბიჭი ვარ, ძალიან ბევრი რამ ვიცი, განვითარებული ვარ. „ძალიან კარგი და განვითარებული ბიჭია სიკო ბელურაძე“,— გუშინაც უთხრა ჩვენმა ხელმძღვანელმა ჩემი ამხანაგის დედას.

რატომ ვარ, თუ იცით, მე კარგი და განვითარებული? არ იცით? ძალიან გინდათ გაიგოთ, აიღეთ აქ, დახატული საგნების სახელების პირველი ასო და იმ უჯრედში ჩაწერეთ, რომელთანაც მიდის საგნიდან ძაფი, მაშინ თქვენ ყველაფერს მიხვდებით.